ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №545179

ნომერი: AR1108171

თარიღი : 08.02.2013

გაცემის თარიღი : 13.02.2013

გაცნობის თარიღი : 11.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 75 , კორპუსი 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლამარა კუბულაშვილი პ/ნ 01024014477
- თბილისი პეკინის გამზ. II კვ. კორ. 8 ბ. 73

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიეხდვით სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს არსებულ შენობაზე მიშენებას და ვერ განიხილება, როგორც I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შესაძლებელია შენობის ფასადზე მხოლოდ საჩრდილობლის მოწყობა ან/და შემინული ნაწილის მხოლოდ 0,30 სმ –მდე გამოწევა,

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „ფოტომონტაჟი:–ს ველში აიტვირთოს განახლებული ფოტომონტაჟი ყველა ზომების მითითებით, მათ შორის საჩრდილობლის.

ამავდროულად გაითვალისწინეთ, ვინაიდან საჩრდილობლის მოწყობით (რომელზე განთავსებულია რეკლამა) გარკვეულწილად იზღუდება სარეკონსტრუქციო ფართის ზემოთ არსებული ბინის მესაკუთრის უფლებები, მის საკუთრებაში არსებული ბინის თავისუფალ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით (იგულისხმება საჩრდილობლის მოწყობით გამოწვეული გარკვეული შეზღუდვა სარეცხის გაფენის თვალსაზრისით), რაიმე სახის უთანხმოების წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, საჩრდილობლის მოწყობის საკითხი ამ ეტაპზევე შეთანხმებული იქნას თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ზემოთ არსებული ბინის მესაკუთრესთან. აღნიშნული თანხმობა კი უნდა ატვირთოთ "დამატებითი ფაილის მიმაგრების" ველში და ამასთანავე უნდა მოგვაწოდოთ მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიან.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.